სწორი ტაქტიკის ხარჯზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 8 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 1:0.

“დინამო”: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, ჩქარეული, მახარაძე, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, ცაავა, ჩელებაძე.

“ზენიტი”: ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ვედენეევი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ბარანიკი, ჩუხლოვი, მელნიკოვი, დმიტრიევი.

მე–40 წთ. ჩივაძე.

37–ე წთ. გურულის ნაცვლად – კეტაშვილი, 63–ე წთ. ბარანიკის ნაცვლად – გერასიმოვი, 70–ე წთ. ჩქარეულის ნაცვლად – ჭედია, ჩუხლოვის ნაცვლად – ჟელუდკოვი.

მსაჯი: ვალერი ბუტენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს დავიდოვი.

კარში დარტყმა – 5:9 (3:3), ზუსტი დარტყმა – 1:3 (1:0), საჯარიმო მოედნიდან – 1:0 (1:0).

კუთხური – 1:6 (1:2).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 8 (3), ლენინგრადელები – 10 (7).

ლენინგრადის “ზენიტთან” მატჩის ტექნიკური მონაცემები მასპინძელთა სასარგებლოდ კარგს არაფერს ლაპარაკობს. არც საერთო შთაბეჭდილება იყო მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი. და მაინც, თბილისის “დინამომ” შეძლო მეტოქის დამარცხება. ერთი სიტყვით, გუნდმა მოიპოვა ორი ქულა, მაგრამ მაყურებელთა ნაწილი შესაძლოა უკმაყოფილოც დარჩა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეფარდებითია და ეს უკმაყოფილებაც საფიქრებელია… “სპარტაკთან” დამაჯერებელმა გამარჯვებამ გამოიწვია. იმ თამაშის ფონზე “ზენიტთან” შეხვედრა, ბუნებრივია, უფერულად გამოჩნდა.

მაგრამ შეეძლო კი “დინამოს” უკეთესად ეთამაშა? თუ მშვიდად შევაფასებთ ვითარებას, უნდა ვთქვათ, რომ არა. თუმცა, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

სულ ორიოდე კვირის წინ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით გუნდში კატასტროფული მდგომარეობა იყო. ამ სატკივარს მხოლოდ ინტენსიური ვარჯიში შველის, რასაც, ყველასთვის ცნობილია, რამდენიმე თვის შემდეგ თუ მოაქვს სასიკეთო შედეგები. დატვირთვის გაზრდა პირველ ხანებში, იმ პერიოდში, სანამ სპორტსმენის ორგანიზმი არ შესჩვევია ახალ რეჟიმს, ხშირად სპორტული მაჩვენებლების დაქვეითებასაც კი იწვევს. ერთობ მცირე დროის მონაკვეთში დაგროვებული ენერგიის მარაგი “დინამომ” მოსკოველებთან შეხვედრაში დახარჯა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებულ “ზენიტს” ვეღარაფერი დაუპირისპირა. ერთადერთი შანსი სწორ ტაქტიკურ თამაშში იყო და, უნდა ითქვას, რომ “დინამომ” ამ შანსით ისარგებლა კიდეც.

ცხადია, უსიამოვნო საცქერია, როცა შენი გუნდი საკუთარ მინდორზე თითქმის მთელი მეორე ტაიმი თავის დაცვაზე ფიქრობს, მაგრამ, როცა ეს ერთადერთი სწორი გზაა, კაცს სასაყვედუროდ ენა არ უნდა მოგიბრუნდეს.

გუშინწინდელ მატჩში თბილისელებმა სულ რამდენჯერმე დაარტყეს მეტოქის კარში, ცოტა იყო კომბინაციებიც, თუმცა უკეთესი მაჩვენებლებით ვერც სტუმრები დაიკვეხნიდნენ, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში. პირველი ორმოცდახუთი წუთის მანძილზე “დინამოს” კართან ერთხელაც არ შექმნილა საგოლე სიტუაცია –

კარგად თამაშობდა თბილისელთა დაცვა და ნახევარდაცვა. იერიშისთვის მასპინძლებმა დაახლოებით წინა მატჩის სქემა გამოიყენეს. მინდვრის შუაგულიდან ბურთი ჩელებაძესთან ხვდებოდა, ძირითადად აქედან ნაწილდებოდა პასები მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე. ის–ის იყო ლენინგრადელმა მცველებმა ალღო აუღეს, როგორღაც გაუგეს თუ შეეჩვივნენ "დინამოს" შეტევებს, ის–ის იყო იკეტებოდა "ზენიტის" კარისკენ მიმავალი გზა, რომ ორიგინალურად ითამაშა ჩელებაძემ.

მე–14 წუთი. სტუმართა საჯარიმო მოედნის ხაზთან ბურთი თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მიიღო. და მაშინ, როცა მისი მეურვეები მორიგ გადაცემას ელოდნენ, ჩელებაძე, უცებ შეტრიალდა კარისკენ და დრიბლინგით აუარა გვერდი ორ მცველს. ერთმა ფორვარდის ხელით შეჩერება სცადა. ამან არ გაჭრა. მეორეს კი ისღა დარჩა, სარმა გამოედო საგოლე პოზიციაზე გასული თავდამსხმელისთვის. მთელი სტადიონი მსაჯს მიაჩერდა. შეხვედრის არბიტრმა ჟესტით ანიშნა ფეხბურთელებს, თამაში განაგრძეთო. ჩვენ კი ალბათ ტრადიციული ფრაზით უნდა დავკმაყოფილდეთ: მსაჯი ყველაზე ახლოს იყო და, ბუნებრივია, ყველაზე უკეთაც ხედავდა.

21–ე წუთზე სვანაძე–ცაავას კომბინაციას დროულად ვერ აუღო ალღო ჩქარეულმა. მე–40 წუთზე თბილისელებმა მაინც გაიტანეს გოლი. საჯარიმო მოედნის ხაზთან ლენინგრადელმა მცველებმა წააქციეს ცაავა. ჯარიმა. დინამოელთა სადა კომბინაცია მოულოდნელი გამოდგა "ზენიტის" მცველთათვის, ისევე როგორც ჩივაძის ზუსტი, არცთუ ძლიერი დარტყმა – 1:0.

ამის შემდეგ მატჩის ბოლომდე, თითქმის 50 წუთის განმავლობაში, ლენინგრადელებმა ყველაფერი იღონეს ქულის გადასარჩენად, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. დაშავებული გურულის ნაცვლად მინდორზე გამოსული კეტაშვილი, მერე კი ჭედია უცებ ჩაებნენ დაცვით ოპერაციებში. გუნდს მაინც უჭირდა და რამდენჯერმე გაბელიასაც დასჭირდა ოსტატობის მოხმობა. თუმცა, ერთხელ, 53–ე წუთზე, თბილისელთა მეკარეს მაინც მოუვიდა მძიმე შეცდომა – საჰაერო ორთაბრძოლა წააგო სტუმართა თავდამსხმელთან. ცარიელ კარში დარტყმული ბურთი მიქაბერიძემ მოიგერია.

ირაკლი ბერიაშვილი.
10 სექტემბერი, 1985 წ.